დიდება დიად ოქტომბერს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ნოემბერი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 262 (14258)

მოგილოცავთ ოქტომბრის დღესასწაულს, მეგობრებო!

ლენინის უკანასკნელი დროშითა! მხატვარი ა. გერასიმოვი.

ოქტომბრის იდეები — საბრძოლო დროშა

საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

1917 წლის ოქტომბერი დაუვიწყარი დღეების შუქით არის მუდამ გაცისკროვნებული, ჩვენი ეს ყველაზე დიდი დღესასწაული. მაგრამ 51-ე წლისთავს, ისევე, როგორც სიბჭოთა სახელმწიფოს ყოველ წლისთავს, აქვს თავისი განუმეორებელი ნიშნებიც. ამ დღესასწაულის წინა დღეებში ქვეყანამ ზეიმით და სიხარულით აღნიშნა ნახევარი საუკუნის იუბილე ლენინური კომკავშირის — პარტიის ერთგული თანაშემწისა, რომელმაც აღზარდა კომუნიზმის გამარჯვებისათვის მილიონობით მამაცი მებრძოლი. გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ქვეყნის ეკონომიური განვითარებისა და სიბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი წარმატებებით, რომლებზეც პლენუმზე ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ოქტომბრის წინა დღეებში მთელმა მსოფლიომ შეიტყო სიბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი შესანიშნავი მიღწევის შესახებ კოსმოსის ათვისებაში, ხომალდ „სოიუზ-3“-ის მეთაურის კომუნისტ გიორგი გეორგიევიჩ შესანიშნავი გმირობის შესახებ.

თითოეული ეს მოვლენა გვიჩვენებს, თუ როგორ ანდა დიდი წინასწარდახახულობანი ოქტომბრის გენიალური ბელადის; ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის, რომლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ემზადება სიბჭოთა ხალხი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავს მიეძღვნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების სიბჭოსა და პარტიის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა, რომელიც 6 ნოემბერს გაიმართა.

კრემლის ყრილობათა სასახლის გაჩირაღდნებულ დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის საწარმოთა მუშები, რუსეთში რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები, სიბჭოთა არმიის მეომრები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და სიბჭოთა მეურნეობების მშრომელები.

აქ არიან უცხოელი სტუმრები, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები.

პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, კ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანიტოროვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან აგრეთვე მოსკოვში მყოფი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სიბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი დ. ნემეში, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ვ. ბილიაკი და ბ. შიმონი.

პრეზიდიუმშია მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული ავღანეთის პრემიერ-მინისტრი ნურ აჰმედ ეთემადი.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა სიბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი სიბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პარტიის უხუცესი წევრები, კომონავტი მფრინავები. დედაქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სიბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა.

— დღეს აქ, კრემლის ყრილობათა სასახლეში, — თქვა მან, — შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები, რათა აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავი. მთელ სიბჭოთა ხალხთან ერთად ამ რევოლუციურ დღესასწაულს აღნიშნავენ მთელი მსოფლიოს მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ნება მიბოძეთ საზეიმო სხდომის მონაწილეთა სახელით, თქვა ვ. თ. პრომისლოვმა, მხურვალედ მივესალმო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლებს. ჩვენ აგრეთვე მხურვალედ და გულითადად მივესალმებით სახელმწიფო მოღვაწეებს, ყველა უცხოელ სტუმარს, რომლებიც ამ დარბაზში არიან.

სასახლის თაღებში ქუხს მხურვალე ტაში. ჟღერს სიბჭოთა კავშირის ჰიმნი.

სიტყვა მოხსენებისათვის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავი“ ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა სიბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. კ. ტ. მაზუროვს.

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. ჟღერს სიბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

შესვენების შემდეგ სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

(საკდესი).

გამარჯვების და შემოქმედების 51 წელი

საზეიმო სხდომა თბილისში

6 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის პარტიული, სიბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ საწარმოთა მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, სიბჭოთა არმიის მეომრები. აქვე არიან ისინიც, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება უშუალოდ ყოფილიყო რევოლუციური ბრძოლების მონაწილე, და ახალგაზრდობა, რომელიც ალაბას დაადგა შრომითს გზას.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ვ. ჰ. მეკავანაძე, ჰ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუნძე, ბ. ი. ჩიგოვაძე, შ. ი. ჰანუყაევი, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. ძუბავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ღოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრები, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი, სიბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანები, რომლებსაც გულთბილად ხვდებიან შეკრებილნი.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სიბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. მ. ბუხრაშვილმა.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავის შესახებ აკეთებს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. დ. კიკნაძე.

საზეიმო სხდომა დამთავრებულია.

ჟღერს სიბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავი

ამხანაგ კ. ტ. მაზუროვის მოხსენება საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში 1968 წლის 6 ნოემბერს

ამხანაგებო!

ჩვენი პლანეტის მატიანეში არ არის მოვლენა, რომელიც თავისი სიდიადითა და ისტორიული შედეგებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ბადალი იყოს. რუსეთის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გმირობა, რომელიც ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს 1917 წლის ოქტომბერში, მსოფლიო განვითარების შემობრუნების პუნქტი გახდა, ოქტომბერმა ბოლო მოუღო კაპიტალიზმის გლობალურ ბატონობას, დასაბამი მისცა ექსპლოატაციის ბორკილებისაგან მშრომელთა განთავისუფლების ერას, კოლონიურ იმპერიათა მსხვრევის ერას.

ისტორიამ იოლი გზები არ იცის. კაცობრიობის გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე თან ახლავს ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირფესვიანად მსხვრევა და ახლის შექმნა, იგი მიმდინარეობს შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ძველთან ახლის ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში არის მოქცევებიც და დროებითი უკუქცევებიც. მაგრამ როგორც შეუქცევადია დრო, ისევე შეუქცევადია საზოგადოებრივი პროგრესის წინსვლა. ისტორიის საათს დიდი ოქტომბრით ამოწმებენ, ოქტომბრის გზა ძირითადი მაგისტრალ გახდა მთელი კაცობრიობისათვის, მისი იდეები — ყველა კონტინენტის ასეულ მილიონობით ადამიანის საბრძოლო დროშაა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ყოველ წლისთავი ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენერვალებისაკენ საბჭოთა ხალხის განუხრელი წინსვლის საფეხურია. შარშან სსრ კავშირის მშრომელებმა მთელი დედამიწის პროგრესულ ადამიანებთან ერთად იდღესასწაულეს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავი. ჩვენი ნახევარი საუკუნის იუბილე სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვართა დათვალიერება, მარქსისტულ-ლენინური იდეების ზეიმი გახდა.

კიდევ ერთმა წელმა განვლო, ჩვენი ხალხის შრომითა და ბრძოლით საბჭოების ქვეყნის ისტორიაში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა.

სკკპ XXIII ყრილობის გაღანყვეტილებანი ხორციელდება

წელი, რომლითაც დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მეორე ორმოცდაათწლეული, ახალი წინგადადგმული ნაბიჯია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, წარმოების შემდგომი აღმავლობის, საბჭოთა ადამიანების კულტურისა და ცხოვრების დონის ამაღლების გზაზე.

სრულყოფს და ავითარებს რა სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის მეცნიერულ მეთოდებს, პარტია მასების შემოქმედებითს ინიციატივასა და ენერგიას წარმართავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველნაირად ამაღლებისათვის, სოციალისტური სისტემის უპირატესობათა და შესაძლებლობათა ყველაზე სრულად გამოვლინებისა და გამოყენებისათვის. მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგად წარმატებით ხორციელდება ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელი ხუთწლედის დამტკიცებული საკონტროლო ციფრები, როგორც მოგეხსენებათ, საკმაოდ დაძაბული იყო. მით უფრო სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი მრეწველობა პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად ვითარდება. სწრაფი ტემპებით იზრდება ქვეყნის სამრეწველო-საწარმოო პოტენციალი, სამი წლის მანძილზე (ხოლო ახლანდელი წლის პერსპექტივა ძირითადად უკვე განისაზღვრა) მწყობრში ჩადგა ათასზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო და ობიექტი. კარგი ტემპებით იზრდება სამრეწველო წარმოება.

წარმოების საშუალებათა წარმოება გადიდდება 30 პროცენტით. მარტო ამ წლებში მიღებული ფოლადის წარმოების მატება უდრის 1940 წელს მისი გამოდნობის მთელ მოცულობას, ნავთობის მოპოვების მატება ერთიორად და მეტად, ელექტროენერგიის გამომუშავება კი თითქმის ერთისამად აღემატება მათი წარმოების ომამდელი წლის საერთო დონეს. უპირატესად ვითარდებოდა ისეთი დარგები, როგორიც არის ელექტრონიკა, ხელსაწყოთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, სადაც საშუალო წლიური მატება 13-19 პროცენტს შეადგენს. მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული ენერგეტიკასა და მანქანათმშენებლობაში.

სახალხო მეურნეობაში ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება რეალურად გამოიხატა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლებით. კერძოდ, დაჩქარდა შრომის ნაყოფიერებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდა.

განვლილი წლებისათვის დამახასიათებელია სოფლის მეურნეობის განვითარების უფრო სწრაფი ტემპები, ვიდრე წარსულ ხუთწლეულში. აქ გადამწყვეტი როლი შეასრულეს ღონისძიებებმა, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დაგეგმვისა და შრომის სტიმულირების სრულყოფისათვის, მანქანებითა და მინერალური სასუქებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისათვის. მარცვლეულის საშუალო წლიური მოსავალი სამ წელიწადში (1966-1968 წ.წ.) თითქმის 25 პროცენტით მეტია, ვიდრე 1961-1965 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხორცისა და რძის წარმოების მოცულობა.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წელს მიაღწევს 80 მილიარდ მანეთს — უმაღლეს დონეს ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. სოფლის მშრომელებმა ვადამდე, დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის, შეასრულეს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმები, სახელმწიფოს ბეღლებში შეინახეს გაცილებით მეტი მარცვალი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ეს სოფლის მშრომელთა მუშაობის შესანიშნავი ნაყოფია. მაგრამ ეს წარმატებანი როდი ნიშნავს, რომ უკვე გადაჭრილია სოფლის მეურნეობის ყველა პრობლემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა პლენუმმა შეაჯამა უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის შედეგები და წამოაყენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო დაჩქარებული განვითარების ამოცანა. პლენუმმა დასახა ახალ ტექნიკურ საფუძველზე სოფლის მეურნეობის შემდგომი ხელახალი აღჭურვის, მინერალური სასუქების წარმოების ტემპების დაჩქარების, სამელიორაციო სამუშაოთა პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების, სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლების დიდი ღონისძიებანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაგვისახა ამოცანა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი და გავაუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამზადებისა და გადამუშავების ორგანიზაცია, უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ეკონომიური მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, გავაუმჯობესოთ კადრების მომზადება.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ყოველივე ეს მთელი ხალხის საბრძოლო პროგრამად, უპირველესი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნია, მოუწოდა სოფლის მშრომელებს, მეცნიერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, მრეწველობის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს გაერთიანონ თავიანთი მეცადინეობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა ეკონომიკის განვითარების დიდმნიშვნელოვანი თავისებურება იყო მისი სტრუქტურის სრულყოფა, სახალხო-სამეურნეო პროპორციათა გაუმჯობესება. ქვეყნის მძლავრი მძიმე ინდუსტრია, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების დაჩქარებული განვითარება — ეს ის ბაზაა, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგეგმვაში შესაბამისი კორექტივების შეტანით ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაგვედგა მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის განვითარების დაჩქარების გზაზე. ხუთწლედის სამ წელიწადში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება 28 პროცენტით გაიზრდება და ბევრად გადააჭარბებს წლიურ საგეგმო დავალებებს. ქსოვილების გამოშვება სამ წელიწადში გადიდდება ერთ მილიარდ 100 მილიონი კვადრატული მეტრით, ტყავის ფეხსაცმლისა — 113 მილიონი წყვილით,

(გაგრძელება მე-2 გვ.).

1917 — 51 — 1968

ამხანაგ კ. ჯ. მაზუროვის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ტელევიზორებისა — 2 მილიონი ცალით, მაცივრებისა — 1 მილიონ 670 ათასი ცალით. არსებითად განახლდა სახალხო მოხმარების საქონლის ასორტიმენტი, უმჯობესდება მისი ხარისხი.

ეროვნული შემოსავლის ზრდის საფუძველზე მოხმარების წლიური ფონდი უკანასკნელ სამ წელიწადში 34,7 მილიარდი მანეთით გაიზარდა, გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებულ წლიურ მონახაზებს; რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 20 პროცენტით და მეტად გაიზრდება, საშუალო ფულადი ხელფასი გადიდდება 16 პროცენტით (მაშინ როცა დავალებით მთელი ხუთწლედისათვის გათვალისწინებულია 20 პროცენტი), საზოგადოებრივი მეურნეობისაგან კოლმეურნეთა შემოსავალი 30 პროცენტით გაიზრდება.

იზრდება საბინაო მშენებლობის მასშტაბი. სამ წელიწადში აშენდა 310 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი ახალი ბინები, 30 მილიონზე მეტმა საბჭოთა ადამიანმა მიიღო ახალი ბინა.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ქვეყნის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ისეთი პერიოდი, როცა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გამოყენებული მატერიალური დოვლათის მატება შეიძლებოდა შეგვედარებინა ახლანდელი ხუთწლედისათვის. და ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი მიზანსწრაფულად ხორციელდება.

ბევრი რამ გაკეთდა, ბევრი რამ არის გასაკეთებელი ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში. ხუთწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობები იყო და არის მაღალი ორგანიზებულობა, შეუპოვარი ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ახალი ტექნიკისა და წარმოების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე, სოციალისტური საკუთრებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, მართვის მეთოდების განუწყვეტელი სრულყოფა. უამისოდ შეუძლებელია წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ქვეყნის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილება.

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა თავიანთი საქმეებით გააბათილეს დასავლეთელ ეკონომისტთა პროგნოზები ჩვენი ეკონომიკის ზრდის ტემპების ვითომდა გარდუვალი შენელების შესახებ. მაგრამ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემები მარტო ტემპებით როდი ამოიწურება — ჩვენს დროში მსოფლიო ასპარეზზე ორი სოციალური სისტემის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი ხდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. და ყველაფრიდან ჩანს, რომ კაპიტალისტები ბევრ ყურადღებას უთმობენ ამას. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები, რომლებიც სულ უფრო დიდ სახსრებს ახმარენ მეცნიერულ კვლევას, ტექნიკის სრულყოფას, კერძოდ სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიდან მეცნიერთა გადაბირების გზით, ცდილობენ სამუდამოდ დაამკვიდრონ ეგრეთწოდებული „ტექნოლოგიური სხვაობა“ სოციალისტური ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას შორის. მაგრამ ეს ვარაუდები განწირულია ჩასაფუშავად. ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება, მისი მძლავრი ინდუსტრიული ბაზა, მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა, კულტურული რევოლუციის დიადი მონაპოვარნი, მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა შესანიშნავი კადრები, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის მექანიზმის სრულყოფის უდიდესი შესაძლებლობანი ისეთ ხელშემწყობ პირობებს უქმნიან სოციალიზმის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, როგორიც არ შეიძლება ჰქონდეს კაპიტალიზმს. სწორედ სოციალისტურ საზოგადოებაში შეიქმნა ყოველივე აუცილებელი ინისათვის, რომ მეცნიერება ნამდვილად იყოს საწარმო ძალების უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომ მისი გეგმაზომიერი შეტევა ბუნების საიდუმლოებებზე კიდევ უფრო ძლიერსა და ბედნიერს ხდიდეს ადამიანს. ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავის წინ საბჭოთა ხალხი მხურვალედ მიესალმა ახალ კოსმონავტს, საბჭოთა ქვეყნის სახელოვან შვილს, გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის, და მასთან ერთად მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მუშებს, რომლებმაც მორიგი დიდი გამარჯვება მოუტანეს ჩვენს მეცნიერებასა და ტექნიკას, საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს სულისკვეთებასა და მამაცობას.

ჩვენი მიღწევები სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაში უდავოა. მათ აღტაცებაში მოჰყავთ მთელი მსოფლიო არა მარტო კოსმოსის კვლევაში, არამედ მთელ რიგ სხვა დარგებშიც. მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ჯერ კიდევ ვერ მოიცავს საკმაოდ ჩვენი ეკონომიკის ყველა უბანს, ჯერ კიდევ ყველგან როდი აღწევს იმ გაქანებას, რომელიც საჭიროა დღეს. შემდგომი განუხრელი წინსვლა მეცნიერებისა და ტექნიკის ფრონტზე, მათი მიღწევების პრაქტიკულად გამოყენება სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მსოფლიო-ისტორიულ შეჯიბრებაში ბრძოლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარებას, უეჭველია, ხელს შეუწყობს ჩვენი ეკონომიური რეფორმა. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე მრეწველობის გადაყვანა დამთავრების სტადიაში შევიდა. მაგრამ საჭიროა არა მარტო გავაფართოოთ რეფორმის გამოყენების საზღვრები, არამედ კიდევაც განვავითაროთ იგი ღრმად, განვაგრძოთ მისი მექანიზმის სრულყოფა, კიდევ უფრო ავამაღლოთ გეგმის მაორგანიზებელი როლი, სწორად შევუხამოთ ცენტრალიზებული სახელმწიფო დაგეგმვა საწარმოთა და გაერთიანებათა ინიციატივას, კიდევ მეტი ეფექტიანობით გამოვიყენოთ ისეთი ეკონომიური ბერკეტები, როგორიც არის სამეურნეო ანგარიში, ფასი, ფონდების გადასახდელი, კრედიტი, მოგება.

ცხოვრების მზარდ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს ჩვენი დარგობრივი სამინისტროების საქმიანობის დონეც. ეკონომიური მეთოდების უფრო აქტიური გამოყენება, უახლესი ტექნიკის დანერგვა დაგეგმვის, აღრიცხვის, მართვის პროცესებში, მიზანდასახული ტექნიკური პოლიტიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბეჯითად განხორციელება, კადრებისადმი მომთხოვნელობის გაძლიერება — ყველა ეს მიმართულება შეიცავს სახალხო მეურნეობის განვითარების დაჩქარების ახალ შესაძლებლობებს.

ფრიად დიდია ჩვენი ეკონომიკის რეზერვები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალური მშენებლობის საქმის სრულყოფასთან. ვიცოდეთ კაპიტალური დაბანდების უაღრესად ეფექტიანად გამოყენება იმისათვის, რომ უფრო სწრაფად შევიღოთ მაქსიმალური ამოგება, — ასეთია დღეს ამ დარგში მეურნეობის გაძღოლის შეფასების გადამწყვეტი სახელმწიფო კრიტერიუმი.

მაღალი მომთხოვნელობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, კრიტიკული ანალიზი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საქმიანობის მუდმივი პრინციპებია. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, ჩვენი ეკონომიკის ყველა რეზერვი ჯერ კიდევ როდია ამოქმედებული, საბჭოთა ადამიანების ყველა საჭიროება როდი კმაყოფილდება ისე, როგორც ჩვენ ყველას გვინდა. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელები სულ ახალ და ახალ ნაბიჯებს დგამენ თავიანთი სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტის გზაზე. ყოველი შრომითი დღისა და წლის საქმეებით, იმით, რომ განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, კიდევ უფრო მაღლა სწევს სოციალისტური შეჯიბრების დროშას, საბჭოთა ხალხი ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს — გადააქციოს სამეურნეო საქმე თავის ყველაზე მთავარ და ყველაზე საინტერესო პოლიტიკად.

ამხანაგებო!

მარქსისტ-ლენინელებს არასოდეს არ განუსაზღვრავთ კომუნიზმისათვის ბრძოლა მარტოოდენ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნით. სოციალისტური საზოგადოების ძალა მარტო მილიონობით ტონა გამოდნობილი ფოლადით, მოპოვებული ნავთობით, მოყვანილი პურით როდი განიზომება. ეს ძალაა საზოგადოების სულიერი სიმდიდრეც, ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმტკიცე, მისი მონოლითური შეკავშირება თავის ნაცადი ბელადის — კომუნისტური პარტიის გარშემო. ეს ძალა განიზომება სახელმწიფოს მართვაში მშრომელი მასების მონაწილეობის მასშტაბებით, იმით, რომ ისინი უაღრესად დაინტერესებული არიან ყველა მისი წარმატებით, ეს ძალა განიზომება იდეური სიმტკიცითა და ორგანიზებულობით. ვერავითარი წყობილება ვერ შეედრება სოციალიზმს ამ მხრივ. ჩვენს პარტიას თავის წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნია ყველაფერი იღონოს ხალხის უფართოესი მასების პოლიტიკური აქტივობისა და შემოქმედების განვითარებისათვის.

ლენინური პარტიის ძალა სწორედ ის არის, რომ იგი ყოველთვის იყო ნოვატორთა პარტია, პარტია, რომელსაც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებსა და თეორიაზე, რევოლუციის ტრადიციებზე დაყრდნობით შეუძლია განჭვრიტოს ის ახალი, რასაც ცხოვრება წარმოშობს. ჩვენი პარტია თავის პოლიტიკას მტკიცე მეცნიერულ ბაზაზე აშენებს. ჩვენთვის ერთნაირად უცხოა როგორც დოგმატიზმი, ისე რევიზიონისტთა ცრუ ნოვატორობა, რომლებიც ცდილობენ დაკნინონ პარტიის როლი კომუნისტურ მშენებლობაში, აცხადებენ, რომ „მოძველდა“ მარქსიზმ-ლენინიზმის ძირეული პრინციპები, მეცნიერული კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს კარგად ესმით, რომ ძირი გამოუთხარო პარტიის ხელმძღვანელ როლს — ეს ნიშნავს შეარყიო სოციალიზმის თვით საფუძვლები. სწორედ ამიტომ პარტიის ხელმძღვანელი როლი სოციალისტურ საზოგადოებაში, მისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა, დემოკრატიული ცენტრალიზმი, პარტიული დისციპლინა ურყევი პრინციპებია და ჩვენ, საბჭოთა კავშირის კომუნისტები, განუხრელად ვხელმძღვანელობთ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ პრინციპებით.

საბჭოთა ხელისუფლების 51-ე წელი აღინიშნა ყველა საფეხურის პარტიული ორგანოების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლებით, მათი სულ უფრო მჭეფარე საქმიანობით, მილიონობით კომუნისტის პოლიტიკური სიმწიფის, ინიციატივისა და პრინციპულობის ზრდით. ეს სიღრმისეული წყაროები წარმოშობს პარტიის დიად ენერგიას.

ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წელს პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი რიგების იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული ერთიანობა, თავისი კავშირი მასებთან. პარტიის იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, პოლიტიკური სიფხიზლისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ყველა ფორმისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით ყველა მშრომელის აღზრდის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებმა.

ცხოვრების ყველა სფეროში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის თანმიმდევრულ ბრძოლაში სულ უფრო მკვიდრდება ლენინური სტილი, ნამდვილად პარტიული მიდგომა საქმისადმი. მას ახასიათებს უწინარეს ყოვლისა დაუცხრომელი ბრძოლა პარტიის გენერალური კურსის განხორციელებისათვის, კლასობრივ პოზიციათა გარკვეულობა, შუაგულ ხალხს მასებში მოქმედებისადმი მუდმივი მისწრაფება, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გულისხმიერად გაგების უნარი, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, თვითკრიტიკა, ნაკლოვანებათა არა მარტო გამოვლინების, არამედ აღმოფხვრის უნარიც.

თანამოაზრეთა და თანამოქმედთა კავშირს, როგორიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო და არის, საფუძვლად უდევს არა ურთიერთ ამნისტია და ლიბერალური ყოვლისპატიება, არამედ თვითეულის უმკაცრესი მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ბოლშევიკური შეურიგებლობა ნამდვილი პარტიულობიდან ყოველგვარი გადახრისადმი. „კომუნისტებს, — ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა მოხსენებაში „სოციალიზმის დიად გამარჯვებათა 50 წელი“, — არა აქვთ არავითარი პრივილეგია, გარდა ერთისა, — სხვებზე მეტად ემსახურონ საერთო საქმეს, სხვებზე უკეთ იბრძოლონ და იშრომონ მისი გამარჯვებისათვის. კომუნისტებს არა აქვთ არავითარი განსაკუთრებული უფლებანი, გარდა ერთისა, — იყონ მუდამ წინ, იყონ იქ, სადაც მეტი სიძნელეა“. სწორედ ამ პრინციპების საფუძველზე იზრდება და გაიზრდება პარტიის ავანგარდული როლი, მტკიცდება მისი კავშირი ხალხთან. სწორედ ამ თვისებების მეოხებით იგი კიდევ უკეთ და უფრო სრულად გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ბრძოლა უცილობლად ადასტურებს, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავის გარშემო შეაკავშირა მშრომელი გლეხობა და ინტელიგენცია, შეგვიძლია ბოლომდე მივიყვანოთ საზოგადოების გარდაქმნა კომუნისტურ საწყისებზე. მუშათა კლასი სოციალისტური წყობილების წამყვანი ძალაა, მშრომელთა მოწინავე რაზმია, ორგანიზებულობის, კოლექტივიზმის, საზოგადოების წინაშე თავისი მოვალეობის შეგნების, მისი ინტერესებისადმი უანგარო სამსახურის ნიმუშია. მუშათა კლასის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობა არა მარტო ამრავლებს ქვეყნის მატერიალურ დოვლათს, არამედ კიდევაც ადუღებს სოციალისტურ სახელმწიფოს.

სწორედ მუშათა კლასთან კავშირის მეოხებით გახდა ჩვენი კოლმეურნე გლეხობა ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის აქტიური ძალა. სწორედ მუშათა კლასთან განუყრელი კავშირის მეოხებით ესოდენ მაღალია დღეს სოციალური როლი ჩვენი მშრომელი ინტელიგენციისა, რომელსაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა შექმნაში. სწორედ მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის რევოლუციური ტრადიციები აღაფრთოვანებს საბჭოთა ახალგაზრდობას და მის მოწინავე რაზმს — ლენინურ კომკავშირს, რომლის 50 წლისთავი მთელი საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული გახდა.

სოციალისტური საერთოსახალხო სახელმწიფო წარმატებით ვერ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას მუშათა კლასის წამყვანი როლის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოში არ არის და არ შეიძლება იყოს სოციალური ჯგუფი, რომელსაც პრივილეგია ჰქონდეს სხვაგვარად აფასებდეს თავის საქმიანობას, ვიდრე მუშათა კლასის მიზნების, პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა დემოკრატიის ნამდვილ აყვავებას. სოციალიზმი მილიონთა ცოცხალი შემოქმედებაა, ამიტომ იგი განუყოფელია უაღრესად ფართო დემოკრატიისაგან. ვ. ი. ლენინი ძოგვიწოდებდა მუდამ გვესწავლა დემოკრატია პრაქტიკაში, დაგვერაზმა მასები მართვაში ქმედითი, უშუალო, საყოველთაო მონაწილეობისათვის. ეს და მხოლოდ ეს მიაჩნდა მას „რევოლუციის სრული გამარჯვების და მისი მტკიცე მოფიქრებული, გეგმაზომიერი წინსვლის საწინდრად“.

მასების შეკავშირებისა და აღზრდის საქმეში პარტია ეყრდნობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სისტემას და უწინარეს ყოვლისა მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, პროფკავშირებსა და ლენინურ კომკავშირს. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში მათი როლი სულ უფრო იზრდება. წელს მიღებულია მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებათა გასაფართოებლად და მათი ინიციატივის განსავითარებლად. უფრო ფართო გაქანება მიეცა საბჭოთა პროფკავშირების ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობითს საქმიანობას. იზრდება საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში მასების ჩაბმის ისეთი ქმედითი ფორმების მნიშვნელობა, როგორიც არის საწარმოო თათბირები საწარმოებში, სახალხო კონტროლის ჯგუფები, მშრომელთა კოოპერაციული, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული გაერთიანებანი.

პარტია იღვწის სახელმწიფო აპარატის ზუსტი საქმიანობისათვის, ზრუნავს იმისათვის, რომ განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს ქვემოდან კონტროლი ყველა მისი რგოლის მუშაობისადმი, რომ ყურადღებით და დროზე იხილავდნენ მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს. ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა გვქონოდა „მტკიცე“, პოლიტიკისადმი მთლიანად დაქვემდებარებული აპარატი, რომელიც ამავე დროს თავისუფალი იქნებოდა დახავსებულობისა და ბიუროკრატიზმის რაიმე ნიშნებისაგან. „ჩვენ ვემხრობით — ხაზს უსვამდა ვლადიმერ ილიას-ძე, — დემოკრატიულ ცენტრალიზმს. და ნათლად უნდა შევიგნოთ, რა დიდად განსხვავდება დემოკრატიული ცენტრალიზმი, ერთი მხრივ, ბიუროკრატიული ცენტრალიზმისაგან, მეორე მხრივ, ანარქიზმისაგან“.

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების გზაზე რეალურ ნაბიჯებს ვერ გადავდგამთ, თუ არ უზრუნველვყავით მაღალი ორგანიზებულობა და მკაცრი დისციპლინა. არ არის დემოკრატია დისციპლინის გარეშე, თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე, უფლებანი მოვალეობათა გარეშე, სოციალისტური დემოკრატიზმისათვის სრულიად უცხოა ინდივიდუალისტური თვითნებობა და თავაშვებულობა, კანონებისადმი უპატივცემლობა.

დიდმა ოქტომბერმა ისტორიაში პირველად შეუქმნა პიროვნების თავისუფლებას შრომის განთავისუფლებისა და ნამდვილი დემოკრატიის რეალური საფუძველი. ჩვენი სახელმწიფო უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ხასიათი აქვს და რომლის მახვილი მიმართულია ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ძირს უთხრის სოციალიზმის საფუძვლებს. იცავს რა საზოგადოების ინტერესებს და ამკვიდრებს რა სოციალისტურ პრინციპებს, იგი ქმნის პიროვნების უფლებებისა და ღირსების მტკიცე გარანტიას.

პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებისა და განათლების ამაღლება. ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გავამრავლოთ ჩვენი მიღწევები ამ დარგში, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ხალხის კულტურისა და განათლების დონე.

კომუნისტთა პარტიის მთელი საქმიანობა, საბჭოთა მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ყველა თაობის წარმომადგენლების, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ერთა მთელი დიადი და ურღვევი კავშირის შრომა მიმართულია ერთი მიზნისაკენ — ისეთი საზოგადოების აშენებისაკენ, რომელშიც ხორცს შეისხამდა მშრომელ ადამიანთა საუკუნოვანი ოცნებები.

ყოველივე ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი და დიადი, რაც XX საუკუნის ქარ-ცეცხლში წარმოშვა მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ, — ყოველივე ეს განუყრელად დაკავშირებულია ლენინის სახელთან. უკვდავია მისი მოძღვრება, უკვდავია საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის სიყვარულიც მისდამი. ჩვენ ვემზადებით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის. მთელ ჩვენს ქვეყანაში იზრდება და ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება ამ თარიღის აღსანიშნავად. უფართოესი მასების მიერ დიადი თაოსნობის განგრძობა უზრუნველყოფს ახალ და ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში — წარმატებებს, რომლებზეც ოცნებობდა, რომლებიც განჭვრიტა ჩვენი სახელმწიფოს შემქმნელმა, ლენინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. ლენინის დროშით ჩვენ პლანეტაზე პირველმა ავაშენეთ სოციალიზმი და დავიცავით მისი მონაპოვარნი სასტიკ ბრძოლაში. ამ დროშით მივდივართ წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, და ოქტომბრის ეპოქის ყოველი ახალი წელი ახალი ეტაპია ამ ნათელი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

ოქტომბრის დროშით ვიბრძოლოთ მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის

ამხანაგებო!

ოქტომბრის საუკუნის მეორე ნახევრის პირველი წელი საერთაშორისო ასპარეზზე დაძაბული და რთული ბრძოლის წელი იყო. და ამ ბრძოლაში ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ ბევრ წარმატებას მიაღწიეს, ღირსეულად გაუძღვეს ყველა განსაცდელს. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები განმტკიცდა, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა საიმედოდ არის დაცული, გარეშე პირობები შემდგომი კომუნისტური მშენებლობისათვის უზრუნველყოფილია.

პარტიის XXIII ყრილობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას დაავალა ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებას, განამტკიცონ მისი ძლიერება და გავლენა, გააფართოონ ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა და კულტურული ურთიერთობა მომმე ქვეყნებთან, მათთან ერთად დაიცვან სოციალიზმის საერთო მონაპოვარნი მისი მტრებისაგან. ჩვენი პარტიისათვის ეს მთელი საგარეოპოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

განვლილმა წელმა კვლავ დაადასტურა, რომ ეს ამოცანა თანმიმდევრულად წყდება. მსოფლიო სოციალიზმს წელსაც მოუხდა ეწარმოებინა პირდაპირი ბრძოლა იმპერიალიზმთან, რომელმაც ერთდროულად გამოიყენა როგორც პირდაპირი სამხედრო მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, პროვოკაციები კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ისე „წყნარი“ კონტრრევოლუციის ექსპორტის ყველაზე ოსტატური საშუალებანი.

განვლილი წლის ძირითადი შედეგების შეჯამებისას შეგვიძლია ვთქვათ: მსოფლიო სოციალისტურმა სისტემამ კვლავ ღირსეულად გაუძლო სიმტკიცის შემოწმებას, ჩაშალა იმპერიალიზმის შემოტევა როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში.

უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერებამ ვერ გატეხა მომმე ვიეტნამელი ხალხის გადაწყვეტილება თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში. ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლა მისი მამაცობისა და სიმტკიცის მეოხებით, აგრეთვე მეგობრების ინტერნაციონალური სოლიდარობის მეოხებით დიდმნიშვნელოვანი წარმატებით დაგვირგვინდა. მიმდინარე წლის 1 ნოემბრიდან შეწყდა დაბომბვა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა საომარი მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. ოქტომბრის 51-ე წლისთავის წინ საბჭოთა ადამიანები მხურვალე სალამს უთვლიან გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც კვლავ დაამტკიცა, რომ უპერსპექტივოა იმპერიალიზმის ცდები იარაღის ძალით უკარნახოს თავისი ნება იმას, ვინც სოციალიზმის დროშის ქვეშ დადგა.

რეაქციისა და ომის ძალებთან მწვავე ბრძოლაში მსოფლიო სოციალიზმი წელს წაიწყდა იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი მოქმედების ესკალაციის სხვა ფორმასაც. იმპერიალისტებმა, რომლებსაც სულ უფრო მეტად ესმით, რომ უკვე შეუძლებელია სოციალისტური თანამეგობრობის დაძლევა პირდაპირი იერიშით, უკანასკნელ წლებში თავიანთ ტაქტიკურ არსენალში ბევრი სიახლე შეიტანეს. ერთ-ერთი მათგანია „ხიდების გადების პოლიტიკა“ და მისი ნაირსახეობა — ბონის ეგრეთწოდებული „ახალი აღმოსავლური პოლიტიკა“. ამ იარაღის ამოქმედება იმპერიალიზმის წინანდელი ხაზის გაკოტრების უეჭველი მაჩვენებელია. მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ ამ პოლიტიკის საშიშროებებს. მისი მიზანია იმპერიალიზმის იდეოლოგიის ფარული შეღწევა სოციალისტურ ქვეყნებში, სოციალიზმის პოლიტიკური საფუძვლების შერყევა და იდეური საფუძვლების „შესუსტება“, ჩვენი თანამშრომლობისა და შეკავშირებისათვის ძირის გამოთხრა.

იმპერიალიზმის ექსტრემისტულ წრეებს „ხიდების პოლიტიკა“ აშკარად მიაჩნიათ კონტრრევოლუციის ექსპორტის მეთოდად. უკანასკნელი წლის გამოცდილებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ეს. გარეშე და შინაურმა კონტრრევოლუციურმა, ანტისოციალისტურმა ძალებმა განიზრახეს დაერღვიათ ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ერთობა, შეერყიათ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი და საბოლოო ანგარიშით მოეწყვიტათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სოციალისტური თანამეგობრობისათვის. საფრთხე შეექმნა ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა სოციალისტურ მონაპოვრებს.

სოციალისტური ქვეყნების ერთობლივმა ღონისძიებებმა სოციალიზმის მონაპოვართა დასაცავად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში კვლავ ცხადყო მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა მუდამ მზად არის დაიცვას თავისი რევოლუციური მონაპოვარნი.

სოციალისტურ ქვეყნებს სწამთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის მუშათა კლასის ძალა, სწამთ, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხელშეკრულება ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების დროებით ყოფნის პირობების შესახებ ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიაში ვითარების ნორმალიზაციის პროცესს. ამ ხელშეკრულების მიზანია მტკიცე გარანტია შეუქმნას ჩეხოსლოვაკიის უშიშროების, მისი სოციალისტური მონაპოვრების უზრუნველყოფას, საიმედოდ დაიცვას მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესები იმპერიალიზმის, რეაქციისა და რევანშიზმის ძალების მხრივ ხელყოფისაგან.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირის კომუნისტები, მთელი ჩვენი ხალხი მზად არიან ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხთან ძმური თანამშრომლობის, მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის ჩვენი ტრადიციული ურთიერთობა წარმატებით ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე, ჩვენი სოციალისტური ქვეყნების ინტერესების ღრმა ერთიანობის საფუძველზე.

ამხანაგებო!

ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა, რომ ისტორიული განვითარება დააყენებს ამოცანას პროლეტარიატის დიქტატურა ეროვნულიდან გადავაქციოთ ინტერნაციონალურ დიქტატურად, რომელიც შეძლებს გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე. სოციალისტური ქვეყნების ხალხები, რომლებიც ლენინის ანდერძს ასრულებენ, სწორედ იმისათვის გაერთიანდნენ და შექმნეს თანასწორუფლებიანთა სოციალისტური თანამეგობრობა, რომ ერთად დაიცვან თავიანთი საარსებო ინტერესები, მშრომელთა ისტორიული მონაპოვარნი, საერთაშორისო ასპარეზზე განახორციელონ მუშათა კლასის პოლიტიკა, სოციალიზმის პოლიტიკა. ეს ნაკარნახევია თვით ცხოვრებით, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ამოცანებით.

თავიანთ ბრატისლავის განცხადებაში, რომელიც გამსჭვალულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ერთსულოვნად დაადასტურეს ის პრინციპი, რომ იმ მონაპოვართა მხარდაჭერა, განმტკიცება და დაცვა, რომლებიც მოპოვებულია თვითეული ხალხის გმირული მეცადინეობის, თავდადებული შრომის შედეგად, „ყველა სოციალისტური ქვეყნის საერთო ინტერნაციონალური მოვალეობაა“. საკითხის ასეთი დასმა შეესაბამება აგრეთვე 81 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირის განცხადებას, სადაც ხაზგასმულია, რომ „თვითეულ კომუნისტურ პარტიას, რომელიც სახელმწიფოში მმართველი პარტია გახდა, ეკისრება ისტორიული პასუხისმგებლობა როგორც თავისი ქვეყნის, ისე მთელი სოციალისტური ბანაკის ბედისათვის“.

ჩვენი მტრები შეეცადნენ ისე წარმოედგინათ ამ ბოლო თვეების ამბები, თითქოს ეს სოციალისტური თანამეგობრობის შესუსტების მაჩვენებელი ყოფილიყოს. ამგვარი წინასწარმეტყველებანი უკვე ბევრჯერ გვსმენია. ჩვენი თანამეგობრობა კი ცოცხლობს და დღეგრძელობს, განუხრელად ძლიერდება. მაგალითად, თუ ეკონომიკას შევეხებით, დავინახავთ, რომ მარტო იმ სოციალისტური ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის მატება, რომლებიც ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში შედიან, მიმდინარე წელს დაახლოებით იმდენივე იქნება, რამდენიც არის იტალიისა და კანადის სამრეწველო წარმოების **მთელი** წლიური მოცულობა. განამტკიცებენ რა თავიანთ ურთიერთობასა და თანამშრომლობას, სოციალისტური ქვეყნები წლითიწლობით ავითარებენ თავიანთ

ამხანაგ კ. ჯ. მაზუროვის მოხსენება

(დასასრული)

კულტურული პროგრესი, ნამდვილი უშიშროება. ჩვენ, ისევე როგორც ჩვენი მეგობრები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ შრომის ურთიერთხელსაყრელი საერთაშორისო სოციალისტური განაწილების განვითარებას, კოოპერაციას ჩვენი ქვეყნების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში და მიგვაჩნია, რომ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დონე უნდა ავიყვანოთ ახალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ყველა ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სულ უფრო ფართო და რთულ ამოცანებს. დიდი ამოცანები დგას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდაცვითი თანამშრომლობის საფუძველის — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მექანიზმის შემდგომი სრულყოფის დარგში; პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმების სრულყოფის, საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო ასპარეზზე მშვიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების შეთანხმების დარგში.

ოქტომბრის რევოლუციის 51-ე წლისთავის სასიხარულო დღეს მხურვალედ მივესალმებით სოციალიზმის მშენებელ ხალხებს და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის ძმური ურთიერთობის განმტკიცება და შემდგომი განვითარება წლითიწლობით სულ ახალ წარმატებებს მოგვიტანს.

პარტიის XXIII ყრილობამ დაავალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას კვლავაც მხარი დაუჭირონ კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, განავითარონ ყოველმხრივი თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ასრულებენ ამ განაწესს, ყოველმხრივ დახმარებას უწევენ თავისუფლებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, იმ ხალხებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური დაჩოკიდებულებისაგან და აშენებენ ახალ ცხოვრებას, ქმნიან საკუთარ დამოუკიდებელ ეკონომიკას; კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა აფართოებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობას აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებთან. კარგად არის ცნობილი, რომ ეს ჩვენი პოლიტიკა ეხმარება ხალხებს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

პარტიის XXIII ყრილობამ დაავალა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს, რათა ხალხთა ინტერესების შესაბამისად წყდებოდეს მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები, მტკიცდებოდეს საყოველთაო მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. თანმიმდევრულად ასრულებენ რა ამ დირექტივას, განუხრელად იცავენ რა სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა აქტიურად იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სამხედრო კონფლიქტების კერების ლიკვიდაციისათვის და მწვავე საერთაშორისო პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაჭრისათვის.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის სისწორე და უცვლელობა კვლავ დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა და სავსებით დაუჭირა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას. გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს რა მსოფლიოში ომის საფრთხის შემცირებისა და მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილების ამოცანას, საბჭოთა კავშირი დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იღწვის გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის. ბევრი სახელმწიფოს ღონისძიებათა შედეგად მომზადდა და ხელმოწერილ იქნა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის ხელშეკრულებას უკვე მოაწერა ხელი 80-ზე მეტმა ქვეყანამ. ახლა ამოცანა ის არის, რომ მას კიდევ უფრო მეტმა ქვეყანამ მოაწეროს ხელი და რომ უზრუნველყოფილ იქნას ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე ძალაში შესვლა.

მსოფლიო საზოგადოებრიობაში სერიოზული პოლიტიკური რეზონანსი გამოიწვია საბჭოთა კავშირის მემორანდუმმა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების ერთგვარი გადაუდებელი ღონისძიების შესახებ. ეს მემორანდუმი შეიცავს კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა განხორციელება საქმით შეამცირებდა ფართო სამხედრო კონფლიქტის და უწინარეს ყოვლისა ატომური კონფლიქტის საფრთხეს. მსოფლიო საზოგადოებრიობა დადებითად შეხვდა საბჭოთა ინიციატივას, რომ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ატომური იარაღის მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა წარმოების შეზღუდვისა და შემდგომი შემცირების გზაზე.

კვლავ უპირველესი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების პრობლემას. ამ ბოლო წლებში დაისახა დადებითი ტენდენცია, როცა ევროპის საზოგადოებრიობის ფართო წრეები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ ევროპაში ვითარების ნორმალიზაციას. დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმაც კი თანდათან შეიგნეს, რომ ასეთი ნორმალიზაცია საარსებოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მივესალმებით ამ ამბავს და ჩვენი მხრივ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ ევროპის უშიშროების განმტკიცებისათვის, ევროპის სახელმწიფოებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის მოგვარებისათვის, მთელი ევროპის ფარგლებში კონსტრუქციული დიალოგის განვითარებისათვის, კერძოდ, იმ წინადადებათა საფუძველზე, რომლებსაც შეიცავენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ბუქარესტის დეკლარაცია და ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვი ვარის კონფერენციის დოკუმენტები.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იღწვის ყველა ქვეყანასთან ეკონომიური, მეცნიერული და სხვა ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მათთან ურთიერთხელსაყრელი სტაბილური ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისათვის. ამჟამად ჩვენ გვაქვს საკმაოდ კარგი ეკონომიური ურთიერთობა, მაგალითად, საფრანგეთთან, იტალიასთან, იაპონიასთან. წარმატებით ვითარდება სსრ კავშირის ურთიერთობა ალჟირთან, ავღანეთთან, ინდოეთთან, ირანთან, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასთან, პაკისტანთან, ფინეთთან და მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან.

ჩვენ ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით და ახლაც ვანიჭებთ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო ორივე ჩვენი სახელმწიფოსათვის, არამედ საყოველთაო მშვიდობის საქმისთვისაც. მაგრამ ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული დაბრკოლება, რომლებიც წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში არის აგრესიული გამოვლინებანი და იმის ცდები, რომ ხელი შეუშალონ ხალხთა სოციალურ პროგრესს.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ორი ძირითადი ტენდენციის — დაძაბულობის შენელებისა თუ მისი გაღწვიების — ბრძოლაზე ზეგავლენას ახდენენ ის პროცესებიც, რომლებიც ვითარდებიან იმპერიალიზმის ბანაკის შიგნით. მიმდინარე წლის ამბებმა მოგვცეს იმის ბევრი ახალი დადასტურება, რომ ღრმავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, ძლიერდება კლასობრივი ბრძოლები, საერთაშორისო ასპარეზზე გრძელდება კლასობრივი და პოლიტიკური ძალების პოლარიზაცია. მონოპოლიები არა მარტო აძლიერებენ შეტევას თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ იმისთვისაც არიან მზად, რომ შინაგანი წინააღმდეგობებიდან გამოსავალი კვლავაც ეძებონ საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერების, სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურების გზაზე. იმპერიალიზმი იყენებს ყოველ საბაბს, რათა გააძლიეროს ომის ისტერია, გამალებული შეიარაღება.

მაგრამ ამ ბოლო დროს იმპერიალისტებს სულ უფრო უჭირთ მილიტარისტული ისტერიის გაღვივება, და დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევენ ასეთ პოლიტიკას, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ხალხთა საარსებო ინტერესებს, მთელი კაცობრიობის ინტერესებს. მიუხედავად ამისა, თვალს ვერ ავარიდებთ იმ ძალების საშიშ საქმიანობას, რომლებსაც კაცობრიობა მიჰყავთ რეაქციისა და ომისაკენ, ვერ შევასუსტებთ ჩვენს სიფხიზლეს.

მსოფლიო პოლიტიკურ კლიმატს ჯერ კიდევ წამლავს იმპერიალისტური ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამსა და მის მეზობელ ქვეყნებში, რომელიც კვლავ გრძელდება. კაცობრიობა სინდისდამშვიდებული ვერ იქნება, სანამ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში, სანამ იღვრება ვიეტნამელი ხალხის სისხლი. საბჭოთა კავშირი კვლავაც იბრძოლებს იმისათვის, რომ ამერიკამ მთლიანად გაიყვანოს ჯარები ვიეტნამიდან, მხარს დაუჭერს და დაეხმარება ვიეტნამელ ხალხს, ყოველთვის იქნება მის მხარეზე, მოითხოვს, რომ მისცენ შესაძლებლობა დამოუკიდებლად წყვეტდეს თავის ბედს.

კვლავ საშიში დაძაბულობაა ახლო აღმოსავლეთშიც, რადგან ისრაელი და იმპერიალისტური ძალები, რომლებიც მას მხარს უჭერენ, კვლავ უარს ამბობენ დაემორჩილონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს. ჩვენი სახელმწიფო თანმიმდევრულად უჭერს მხარს არაბ ხალხებს, რომლებიც ისრაელის აგრესიის მსხვერპლი გახდნენ, მოითხოვს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანას, ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, პალესტინელი არაბების კანონიერი უფლებების დაკმაყოფილებას. საბჭოთა ხალხი გადაჭრით გმობს ისრაელის მხედრიონის პროვოკაციებს, სოლიდარობას უცხადებს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

კვლავ სერიოზული საერთაშორისო საშიშროების წყაროა დასავლეთ გერმანიის რევანშიზმი და ნეონაციზმი. 1969 წელს იწურება ატლანტიკური პაქტის მოქმედების ვადა და ახლა იმპერიალიზმი ყოველნაირად ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის მომზადების ამ იარაღს. ბონელი მილიტარისტები სულ უფრო აშკარად და დაჟინებით ჩემულობენ ამ აგრესიული ორგანიზაციის მეორე ხელმძღვანელის როლს, დგანან ყველაზე აგრესიულ და ექსტრემისტულ პოზიციებზე. ისინი ჯიუტად ახორციელებენ თავიანთ კურსს, რომელიც დაისახა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის პირველ წლებშივე, იმ კურსს, რომ თავიანთი ქვეყნის მოსახლეობას ჩაუნერგონ იმ ცვლილებებისადმი შეურიგებელი მტრობის სულისკვეთება, რომლებიც ევროპაში მოხდა მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომი განვითარების შედეგად. დროდადრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები აწყობენ ავანტიურებს, პროვოკაციებს, მაგალითად, დასავლეთ ბერლინის მიმართ, რათა გაამწვაონ ვითარება, გაართულონ ევროპის სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის დამყარება, დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემათა გადაჭრა. ასეთი პროვოკაციების საშუალებით დასავლეთგერმანელ რევანშისტებს სურთ გამოსცადონ, თუ რამდენად მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დაცვათ სოციალიზმისა და მშვიდობის პოზიციები ევროპაში.

დროა, რომ ბონი გამოეთხოვოს თავის ილუზიებს, დიდი ხანია დროა მიხვდეს, რომ მის ავანტიურისტულ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს მეტად სერიოზული შედეგები, უწინარეს ყოვლისა თვით დასავლეთ გერმანიისათვის. საბჭოთა ხალხს არ დავიწყებია, მსხვერპლი, რომელიც გაიღო გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უზრუნველყოს მშვიდობა კონტინენტზე, არ დაუშვას რაიმე ცდა გადასინჯონ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწესებული საზღვრები, წინ აღუდგეს ნატოს აგრესიულ მოქმედებას, ევროპის შუაგულში ატომური ომის დეტონატორის შექმნას.

ამრიგად, დღესაც ჯერ კიდევ ბევრია გადაუჭრელი მწვავე საერთაშორისო პრობლემა. საერთაშორისო განვითარებაში კვლავ რჩება ჯერ კიდევ ბევრი დანაღმული წერტილი. მაგრამ საბჭოთა საგარეო პოლიტიკა როდია ამის მიზეზი. ამისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ დასავლეთელ მოღვაწეებს, რომლებსაც სახელმწიფო სიბრძნის გვირგვინად ჯერ ისევ მიაჩნიათ აგრესიის, სამხედრო ბლოკებისა და გამალებული შეიარაღების პოლიტიკის განგრძობა. საბჭოთა მთავრობის ამას წინათ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამი იყო: „საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს მშვიდობიანი თანამშრომლობის ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, დიდ და პატარა ქვეყნებთან, რომლებიც თავის მხრივ ამასვე ესწრაფვიან. საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ყოველ ინიციატივას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, ხალხთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მაგრამ, ისევე როგორც წინათ, ჩვენი ქვეყანა კვლავაც საკადრის პასუხს გასცემს აგრესორთა ხრიკებს, სოციალიზმის მონაპოვართა ხელყოფას, დაიცავს ჩვენი უშიშროებისა და ჩვენი მეგობრების უშიშროების ინტერესებს“.

საბჭოთა ხალხს, რომელიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევა, ჰყავს საამედო და მძლავრი დამცველი — ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები. საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ სავსებით დაეყრდნონ მათ. ეს დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ერთგული გუშაგია.

ჩვენი პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განამტკიცოს ძმური სოლიდარობა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, მათთან ერთად იბრძოლოს პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის, განამტკიცებდეს მსოფლიოს კომუნისტთა დიადი არმიის ერთიანობას.

უკანასკნელი დროის ამბებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ იმპერიალიზმი იმედს ამყარებს ანტიიმპერიალისტური ფრონტის ძალების გათიშვაზე და უწინარეს ყოვლისა კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთიანობის შესუსტებაზე. საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გათიშვაში სამარცხვინო როლს ასრულებენ პეკინელი ხელმძღვანელები. მაო ძე-დუნის ჯგუფმა, რომელმაც პროლეტარული კლასობრივი პოზიციები მძვინვარე ანტისოვეტიზმით შეცვალა, ამით გათელა მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები პარტიებს შორის ურთიერთობაში და აშკარად ახორციელებს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში დიდმპყრობელურ ავანტიურისტულ ხაზს.

გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ერთად განიხილონ იმპერიალიზმთან ბრძოლის ყველა საკითხი, გამოიმუშაონ საერთო ხაზი ამ ბრძოლაში. ეს ამოცანა უნდა შეასრულოს კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირმა. ამ მიმართულებით უკვე გაწეულია დიდი მუშაობა. კომუნისტთა საერთაშორისო ფორუმის გულდასმით მომზადება უზრუნველყოფს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ძალების შეკავშირების დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

ამხანაგებო!

მიმდინარე წლის გამოცდილებამ კვლავ ცხადყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნათელ იდეურ პოზიციებს ჩვენი საერთო ბრძოლისათვის. მსოფლიო ასპარეზზე დაპირისპირებულ საზოგადოებრივ სისტემათა შეჯახების ეპოქაში იდეოლოგია გამოდის როგორც ფრიად ბასრი იარაღი. განაგრძობს რა სამხედრო პროვოკაციებისა და ავანტიურების, ეკონომიური ზეგავლენის პოლიტიკას, იმპერიალიზმი ამავე დროს მთავარ ყურადღებას უთმობს იდეოლოგიურ დივერსიებს, მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის“ გაჩაღებას.

თავისი თავდაცვის მიჯნებზე ბურჟუაზიული პროპაგანდა სულ უფრო ხშირად მიმართავს კაპიტალიზმის შელამაზებას და იმასაც კი ცდილობს, რომ სოციალიზმის სამოსელში გახვიოს იგი. თავიანთ კონტრიერიშებში იმპერიალიზმის იდეოლოგები ახლა იმედს ამყარებენ სოციალიზმის ეგრეთწოდებულ ეროზიაზე, მისი სოციალური ბუნებისა და სტრუქტურის თანდათანობით შეცვლაზე. იმპერიალიზმის ამ სტრატეგიისა და ტაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო სოციალისტური ქვეყნებისა და მათი პარტიების საქმე როდია, ეს მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანაა. აქ საქმე ეხება არა მარტო იმას, რომ დავიცვათ ის, რაც უკვე მოიპოვა სოციალიზმმა. ჩვენ ვაწყდებით მსოფლიო იმპერიალიზმის ცდებს შეცვალოს პროლეტარიატის იმ რაზმების მოძრაობის მიმართულებაც, რომლებისთვისაც სოციალისტური რევოლუცია ჯერ კიდევ წინ არის.

იდეოლოგიური დივერსიების, ხალხთა მოტყუების ახალ ხერხებსა და ფორმებს შორის პირველ ადგილზე დგას „რბილად შეღწევის“ მეთოდები, რომელთა შორის დიდი როლი უნდა შეასრულოს ყბადაღებულმა „კონვერგენციის“ თეორიამ. მისი არსი ის არის, რომ თავს მოახვიონ ხალხებს იდეა, თითქოს ისტორიული პროცესის მსვლელობაში ხდებოდეს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის განსხვავებათა თანდათანობით წაშლა, თითქოს საქმე მიდიოდეს რაღაც „საშუალოს“ წარმოშობისაკენ.

ამ თეორიის პროპაგანდისტთა ჭეშმარიტი მიზნები ეჭვს არ იწვევს. ქადაგებს რა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ურთიერთ „დაახლოებას“, მითს რაღაც „ერთიან ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ მათი შეერთების შესახებ, ბურჟუაზია ოსტატურად ახორციელებს **თავის** კლასობრივ ხაზს, **თავისი** ძალაუფლების დამკვიდრების ხაზს. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული პროპაგანდა ასე თავგამოდებით ასახამს ქება-დიდებას, დიდი ამბით უწევს რეკლამას ეგრეთწოდებული „გაუმჯობესებული“, „ლიბერალური“, „დემოკრატიული“ და „ეროვნული“ სოციალიზმის ყოველგვარ „მოდელებს“.

იმპერიალიზმი გამალებით ეძებს მოკავშირეებს. ეძებს ყველგან, ცდილობს გამოიყენოს რევიზიონისტული, ნაციონალისტური, ავანტიურისტული ელემენტები თვით განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობის რიგებში. ამაშია გაზრდილი საშიშროება მარქსიზმ-ლენინიზმისაგან მემარჯვენე და „მემარცხენე“ გადახრებისა, რომლებიც ობიექტურად იმპერიალისტური პოლიტიკის იარაღი ხდებიან.

მემარჯვენე რევიზიონისტები გვთავაზობენ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი შეიცვალოს ბურჟუაზიული დემოკრატიით, პოლიტიკური ძალების „თავისუფალი მოქმედებით“, გეგმიანი მეურნეობრიობის სოციალისტური პრინციპები — „ეკონომიური ინტერესების თავისუფალი გამოვლინებით“; საზოგადოებრივი საკუთრება — „ყბადაღებული „საწარმოთა საკუთრებით“. საჭიროა არ არის განსაკუთრებული გამჭრიახობა, რომ დავინახოთ, თუ რა აშმორებულ საქონელს გვაჩვენებენ ეს ეაუბატონები უკანასკნელ თეორიულ „სიახლეთა“ სახით. ხომ საკმაოებით ცხადია, რომ ეგრეთწოდებული „საბაზრო“, „თავისუფალი“ სოციალიზმის „უახლესი“ მოდელი, კლასგარეშე „წმინდა დემოკრატიის“ მოდელი მხოლოდ და მხოლოდ გადმოწერილია ძველი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგებისაგან და თუ რაიმე გზას სახავენ, ეს გზა მხოლოდ უკან, კაპიტალიზმისაკენ მიდის.

ყველა ფსევდოსოციალისტურ „მოდელს“, რომლებიც უხვად შეიქმნა ამ ბოლო წლებში, ერთი საერთო ნიშანი აქვს. ისინი მიმართული არიან სოციალისტური მშენებლობის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ იმპერიალისტები ტაშს უკრავენ ამ, უკაცრავადპასუხია, „სოციალიზმს“, მზად არიან უზრუნველყონ კიდევაც ასეთი „სოციალიზმისათვის“ მხარდაჭერა. თვით ფაქტი, რომ სოციალიზმის, „ლიბერალიზაციისა“ და „დემოკრატიზაციისათვის“ თავგამოდებით ზრუნავენ იმპერიალისტები, იგივე ძალები, რომლებიც ცდილობენ ჭეშმარიტად დემოკრატიული მოძრაობა შეაჩერონ ტყვიით, ბომბებითა და ნაპალმით, ცხადყოფს თუ რამდენად შემაძრწუნებელია კაპიტალისტთა მორიგი მოსატყუებელი მანევრი, მოუწოდებს ყველა პატიოსან ადამიანს ფხიზლად იყოს და გამანადგურებელი პასუხი გასცეს კლასობრივი მტრის ახალ გამოხდომებს.

შემთხვევითი როდია აგრეთვე იმპერიალიზმის მეტად აქტიური ინტერესი „ეროვნული სოციალიზმის“ სხვადასხვა თეორიისადმი. მარქსისტ-ლენინელები არასოდეს არ უარყოფდნენ, რომ სოციალისტურ მშენებლობაში უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული თავისებურებანი. მაგრამ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას მრავალგზის აღუნიშნავს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობის ყველა ქვეყნებისათვის **საერთო** ძირითად კანონზომიერებებს. თვით ცხოვრება ცხადყოფს, რომ პროლეტარული რევოლუციის საერთო კანონზომიერებათა, სოციალიზმის საერთო პრინციპების უარყოფა ეროვნული სპეციფიკის ალმით გარდუვალად გამოიწვევდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და ინტერნაციონალიზმის პოზიციებიდან ოპორტუნიზმის პოზიციებზე გადასვლას.

ყველა მარქსისტ-ლენინელის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის წმიდათა-წმიდა მოვალეობაა ამხილონ იმპერიალისტური ცილისწამება სოციალიზმის წინააღმდეგ, თანმიმდევრულად, შეურიგებლად იბრძოლონ ბურჟუაზიის იდეოლოგიური დივერსიების წინააღმდეგ, ყველა ყაიდის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია ყოველთვის ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს თავის მოვალეობას ამ ერთობლივ ბრძოლაში, და კლასობრივი ბრძოლების ამ ფრონტზე იგი ყოველთვის შეტევაზე იყო, არის და კვლავაც იქნება.

ამხანაგებო! მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, რუსეთის მუშათა და გლეხთა გამარჯვებამ 1917 წელს გამოიწვია მოვლენათა ისეთი ჯაჭვური რეაქცია, რომელმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე ძირეულად გარდაქმნა მსოფლიო. ისტორიამ უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა ოქტომბრის საქმის განმგრძობებსა და მემკვიდრეებს, რომლებმაც თავიანთ ხელში აიღეს ლენინის დროშა, იკისრეს დიდი პასუხისმგებლობა.

ეს პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ საშიშროებებითაც, იმ შესაძლებლობებითაც, რომლებსაც ხალხებს უქმნის თანამედროვე ეპოქა. იმპერიალიზმი კვლავაც ძლიერი მოწინააღმდეგეა, რომელიც ხალხებს უქადის დიდ უბედურებას, ისეთ კატასტროფასაც კი, როგორიც მსოფლიო თერმოატომური ომი. მტრები ცდილობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ სოციალიზმისა და პროგრესისათვის მებრძოლთა ყოველი შეცდომა, ყოველი ბზარი მათს რიგებში. მაგრამ კომუნისტების დიადი ისტორიული პასუხისმგებლობა მარტო აქედან როდი გამომდინარეობს. რევოლუციის ჯარისკაცთა ჩვენს თაობაზე შთამომავლები იმის მიხედვითაც იმსჯელებენ, თუ რამდენად უნარიანთა და ეფექტიანად გამოვიყენებთ იმ ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც ახლა ხალხებს შეექმნათ. ეს შესაძლებლობანი კი ჭეშმარიტად უშრეტია.

ადამიანთა ასეთი უდიდესი მასები ჯერ არასდროს არ ყოფილან შეკავშირებულნი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის იდეალებს ჯერ არასოდეს არა ჰყოლიათ ისეთი მძლავრი დამცველები, როგორიც არიან სოციალისტური სახელმწიფოები, მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობა, თანამედროვეობის სხვა მძლავრი დემოკრატიული მოძრაობანი.

ადამიანები ჯერ არასოდეს არ ყოფილან ასე ძლიერნი ბუნებასთან ბრძოლაში, ხოლო მეცნიერებას, ტექნიკას, საწარმოო ძალებს ჯერ არასოდეს არ შეუქმნიათ შიმშილზე, სიღატაკეზე, დაავადებებსა და ეკონომიკის სხვა საუკუნეობრივ უბედურებაზე გამარჯვების ასეთი რეალური და ახლო პერსპექტივები.

პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე, ამჟამად მცხოვრები და მომავალი თაობების წინაშე ყველაზე სერიოზული პასუხისმგებლობაა, რომელიც კი შეიძლება იკისროს პოლიტიკურმა პარტიამ.

51 წლის წინათ ლენინის პარტიამ გაბედულად იკისრა პასუხისმგებლობა რუსეთის ხალხთა ბედისათვის. იგი არ შეუშინდა სიძნელეებს არც 1917 წლის ოქტომბერში, როცა ბოლშევიკები ხელში იღებდნენ ძალაუფლებას, არც სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. ამ პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები მამაცურად და მტკიცედ ახორციელებენ თავიანთ იდეალებს, აშენებენ ახალ სამყაროს. და დღეს კომუნისტებს, მთელ ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სრულ გამარჯვებამდე მიიყვანონ ლენინის საქმე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საქმე.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, თავისუფლებისათვის, მშვიდობისა და მშრომელთა ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

დაე მტკიცდებოდეს მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობა და შეკავშირება აგრესიის, ძალადობისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მაღლა ატარებს უძლეველ ლენინურ დროშას!

(ამხ. კ. ტ. მაზუროვის მოხსენების დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 262 1968 წლის 7 ნოემბერი ქ. მოსკოვი

ამხანაგებო ჯარისკაცებო, მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ზეიმით აღნიშნავენ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ოქტომბრის წლევანდელ დღესასწაულს საბჭოთა სამშობლო ხვდება ახალი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში. ჩვენი ხალხის თავგანწირული შრომითი წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIII ყრილობადადებული შრომითი წარმატებით ხორციელდება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, ხუთწლიანის საგეგმო დავალებანი. ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელები, არმიისა და ფლოტის მეომრები კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებენ თავიანთ რიგებს კომუნისტური პარტიის გარშემო და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაამრავლონ წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობის ყველა დარგში.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ მოპოვებულია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მორიგი, დიდი გამარჯვება კოსმოსის ათვისებაში. წარმატებით დამთავრდა კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-ის ფრენა.

სოციალიზმისა და დემოკრატიის პოზიციების განუხრელი განმტკიცება იმპერიალისტური ძალების გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. საერთაშორისო რეაქცია ყოველნაირად ცდილობს შეასუსტოს სოციალიზმის სისტემა, შეაფერხოს მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უფიზლად ადევნებენ თვალს მშვიდობისა და პროგრესის მტრების ხრიკებს და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ჩვენი სამშობლოს ძლიერების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!
ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავს. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული ოსტატობის სრულყოფაში, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში.

იყავით უფიზლად და მუდამ მზად დიდი ოქტომბრის მონაპოვრების, ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავის აღსანიშნავად **

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 1968 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წარდგინება და დაადგინეს 1968 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიები მიენიჭოთ:

I.

მეცნიერების დარგში

1. **ალბაზოვს** დიმიტრი გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ლაბორატორიის გამგეს, **ლემბერგს** იოსებ ხაიმის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, უფროს მეცნიერ თანამშრომელს, **ანდრეევს** დანიელ სერგის-ძეს, **გრინბერგს** ანატოლი პაველის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატებს, უფროს მეცნიერ თანამშრომლებს, **ეროხინას** კირა იგორის ასულს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ფ. იოფის სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის მუშაკებს, **ტერ-მარტიროსიანს** კარენ ავეტის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, **ბანგარსკის** იური პეტრეს-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — **ბირთვიანის კულონური აგზნების კვლევანი ნაშრომთა ციკლისათვის,** რომლებიც 1956-1966 წლებში დაიბეჭდა.

2. **ვიტკევიჩს** ვიქტორ ვიტოლდის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პ. ნ. ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს — **არაერთგვაროვანი მზისირგვლივი პლაზმის აღმოჩენისა და რადიოგამოსხივების დისკრეტული ყურადღებით მისი გაგრძირვის მეთოდით კვლევისათვის.**

3. **გონჩაროვს** ვლადიმერ ვლადიმერის-ძეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, სამეცნიერო განყოფილების უფროსს, **ბაბულევიჩს** ევგენი ნიკოლოზის-ძეს, ობიექტის მთავარ ინჟინერს, **ნიკოლაევს** იური გიორგის-ძეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ობიექტის მთავარი ინჟინრის მოადგილეს, **შავრო